KA021701635350322

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel:1420
info@nasp.gov.ge

N5/39580

14 / ივლისი / 2022 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 27.06.2022 წლის N01/2078, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ 22.06.2022 წლის N1159-04 და 11.07.2022 წლის N04/274 წერილები, ასევე მოქალაქე ლევან პაპაშვილის 11.07.2022 წლის N79335/05 განცხადება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, წინწყაროში მოქალაქე ლევან პაპაშვილის საკუთრებად რეგისტრირებული 50000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N84.10.38.000.017) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულ 160000.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N84.06.34.000.283) ნაწილში გაცვლის თაობაზე.

გიგზავნით ზემოხსენებულ კორესპონდენციას, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით და დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში განიხილოთ წარმოდგენილი კორესპონდენციის შესაბამისად N84.06.34.000.283 საკადასტრო კოდიდან მოქალაქე ლევან პაპაშვილის დაინტერესებაში არსებული ნაწილის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადმოცემის საკითხი.

დანართი: 5 ფაილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე